ოქმი N3

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი

2021 წლის 30 მარტი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 29 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

4. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის

პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

5. „სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის ადმინისტრაციული ერთეულისა და ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერის შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

6. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

7. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი და დამატებითი ქონებების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

8. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

9. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ც. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებში)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ჭოხონელიძე, ნ. ვეკუა, ლ. ცატავა)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - შენიშვნა გამოთქვა მერიის საფინანსო სამსახურის მიმართ, საკრებულოს მხრიდან მოთხოვნილი იყო ჟალუზების და მეხსიერების ბარათების შეძენა, რაც დღემდე არ განხორციელებულა. ამასთან განაცხადა, რომ საკრებულო ყოველთვის მხარს უჭერს ქალთა ფეხბურთის ხელშეწყობას, ამიტომაც წინა ცვლილებეზე დაეთანხმნენ 15,0 ათასი ლარის დამატებას ბიუჯეტში, თუმცა არ ჯერზე ისევ ემატება 8,0 ათას ლარი, რაც მიზანშეუწონლად მიაჩნია.

ზ. ლატარია - ქალთა ფეხბურთის გუნდის მთავარი მწვრთნელი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ქალთა ფეხბურთი ხობის მუნიციპალიტეტში ნულიდან შეიქმნა და უკვე უმაღლეს ლიგაშია, დაფინანსება ხომ სჭირდება მოწვეულ ფეხბურთელებს, ასევე ფეხბურთელების მივლინებებს და თანხებიც ამიტომ იქნა გათვალისწინებული.

ე. ჯობავა - განაცხადა, რომ აქ რომელიმე მწვრთნელის ან ფეხბურთელის მიმართ არ არის შენიშვნა გამოთქმული, არამედ ბიუჯეტში წარამარა თანხების დამატებაზეა საუბარი, ეს ხარჯები თავიდანვე უნდა ყოფილიყო გაწერილი. საკრებულო ყოველთვის იყო და იქნება მუნიციპალიტეტში ფეხბურთის განვითარების სადარაჯოზე.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში იზრდება შემოსავლები 102280 და 86124 ლარით „გრანტებიდან" (მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად) და ჯამში 188404 ლარი მიემართება ქვეპროგრამის „საჯარო სკოლების დაფინანსება" ასიგნებაზე. მცირდება ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები 46,0 ათასი ლარით, კერძოდ: პრიორიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ასიგნებები. გამოთავისუფლებული 46,0 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" ასიგნებაზე 33,0 ათასი ლარი; პრიორიტეტის „კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები" ასიგნებებზე 8,0 ათასი ლარი; პრიორიტეტის „მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა" ასიგნებებზე 5,0 ათასი ლარი. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის

მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა გაიზარდა 188.4 ათასი ლარით და შეადგინა 13265.0 ათასი ლარი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ა. ქირია, ნ. ვეკუა, მ. ჭოხონელიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N5 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვ

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, 2021 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონები „სოციალური მუშაობის შესახებ“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

უფლებების შესახებ", რომელთა საფუძველზეც, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №18 დადგენილებით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში გათვალისწინებულ იქნა სოციალური მუშაკის საშტატო თანამდებობა. სოციალური მუშაობისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით საქართველოს კანონმდებლობით მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილების აღსასრულებლად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან მიღებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, ახალი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილებები უნდა აისახოს მერიის ან/და მერიის შესაბამისი სამსახურის დებულებაში. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ", რომლითაც შესაბამისი ცვლილებები ხორციელდება „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებასა და „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №51 დადგენილებაში. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი წარმოდგენილი სახით მიღება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ნ. ვეკუა, ა. ქირია, მ. ჭოხონელიძე, ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N6 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცდა 2019 წლის 30 დეკემბერს N14 დადგენილებით და ბიუჯეტის პირვანდელი შემოსავლები დაგეგმილი იყო 10092,5 ათასი ლარით. განხორციელებული ცვლილებების შედეგად კი დაზუსტებულმა ბიუჯეტმა საშემოსავლო ნაწილში შეადგინა 16917,3 ათასი ლარი. ფაქტიურად ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 18180,7 ათასი ლარი და იგი შესრულებულია 107,5 %-ით. აქედან, საგადასახადო შემოსავლები გეგმიური 8165,2 ათასი ლარიდან შემოსულია 9116,2 ათასი ლარი (111,6%), გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გეგმიური 7462,1 ათასი ლარიდან მიღებულია 7336,7 ათასი ლარი (98,3%). სხვა შემოსავლები წლიური გეგმით გათვალისწინებული 690,0 ათასი ლარიდან შემოსულია 1051,1 ათასი ლარი (152,3%). შემოსულობები არაფინანსური აქტივების კლებიდან გათვალისწინებული 600,0 ათასი ლარიდან შემოსულია 676,7 ლარი (112,7%). საგასავლო ნაწილში 2020 წლის გეგმა იყო 19545,3 თასი ლარი, ფაქტიური შესრულება კი 17046,9 ათასი ლარი (87,2%). აქედან, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი წლიური გეგმით გათვალისწინებული 3167,9 ათასი ლარიდან ათვისებულია 2732,2 ათასი ლარი (86,2%); ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – წლიური გეგმით გათვალისწინებული 10948,1 ათასი ლარიდან ათვისებულია 9713,8 ათასი ლარი (88.7%); საგანმანათლებლო ღონისძიებები წლიური გეგმიური 2624,3 ათასი ლარიდან იანვარ-დეკემბრის თვეში ათვისებულია 2296,3 ათასი ლარი(87,5%); კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები წლიური გეგმიური 1341,8 ათასი ლარიდან ათვისებულია 1033,7 ათასი ლარი (77%); მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2020 წლის გეგმიური 764,7 ათასი ლარიდან იანვარ-დეკემბრის თვეში ათვისებულია 652,5 ათასი ლარი (85,3%). ფულადი სახსრების ნაშთმა 2021 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით შეადგინა 3781,1 ათასი ლარი.

გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ნ. ვეკუა, ა. ქირია, მ. ჭოხონელიძე, ლ. ცატავა, კ. გოქაძე, ა. ხურცილავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N5 ოქმს თან ერთვის)

4. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვ

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე განათების პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ საკრებულოს არაერთ სხდომაზე საკრებულოს წევრების მხრიდან დაისვა საკითხი გარე განათების დაკავშირებით არსებული პრობლემების მოგვარების თაობაზე, თუმცა საკითხი დრემდე არ გადაწყვეტილა, რაც მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

აზრი გამოთქვეს: ნ. ბუკია - შპს „ხობი განათება და დასუფთავების“ დირექტორი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ გარე განათების მოსაწყობად შესრულებული სამუშაოები

უხარისხოდ არის შესრულებული და ნათურები ხშირად იწვება და ჩვენს ხელთ არსებული ტექნიკით კი დროულად ვერ ხორციელდება პრობლემების მოგვარება, რადგანაც სპეცმანქანა ხშირ შემთხვევაში მწყობრიდანაა გამოსული და ვერ ხორციელდება მისი დროული შეკეთება.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში იქნებ მეზობელი მუნიციპალიტეტიდან ვიქირავოთ ტექნიკა, რათა პრობლემები დროულად იქნეს მოგვარებული.

ნ. ბუკია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ამ ეტაპისთვის მანქანა შეკეთებულია და ცენტრალურ გზაზე ასრულებდნენ სამუშაოებს.

დ. ბერაია - გამომსვლელის განცხადებით, ძველი სპეცტექნიკა ხშირად გამოსულია მწყობრიდან და მის იმედზე ვერ იქნებოდნენ, რადგან პრობლემები სულ არსებობს, იქნებ თანხები მოეძიებინათ ახალი სპეცტექნიკის შესაძენად, პრობლემების დროულად მოგვარების მიზნით.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ საკრებულოს მხრიდან წინააღმდეგობა არ იქნებოდა თუ მერიის შესაბამისი სამსახური შემოვიდოდა წინადადებით სპეცტექნიკის (ავტომანქანა) შეძენასთან დაკავშირებით.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-5 საკითხთან დაკავშირებით (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების ნუსხაში დამატებულ იქნა 1 პროექტი - „სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის ადმინისტრაციული ერთეულისა და ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთულის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები". მიმდინარე ეტაპისთვის დაწყებულია აღნიშნული პროექტის ორი მუნიციპალიტეტის მხრიდან ერთობლივად განხორციელებისთვის აუცილებელი პროცედურები. პროექტით გათვალისწინებული რეაბილიტირებული გზა დააკავშირებს სენაკისა და ხობის მუნიციპალიტეტებს, ასევე, ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკისა და ხობი-საჯიჯაო-ლესიჭინეს შიდასახელმწიფოებრივ მაგისტრალებს, რომლითაც ინტენსიურად სარგებლობს როგორც სენაკის, ასევე ხობის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლის მოსახლეობა. საქართველოს ორგანული კანონის

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 21-ე მუხლის შესაბამისად, სხვა მუნიციპალიტეტთან ერთობლივი პროექტის განხორციელებისათვის გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტები „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერის შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ნ. ვეკუა, ა. ქირია, მ. ჭოხონელიძე, ლ. ცატავა, კ. გოქაძე, ა. ხურცილავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N6 ოქმს თან ერთვის)

5. „სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის ადმინისტრაციული ერთეულისა და ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერის შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის ადმინისტრაციული ერთეულისა და ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერის შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ნ. ვეკუა, ა. ქირია, მ. ჭოხონელიძე, ლ. ცატავა, კ. გოქაძე, ა. ხურცილავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N7 ოქმს თან ერთვის)

6. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების

მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

3. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ჩატარდა დასახლებების საერთო კრებები/კონსულტაციები, სადაც განხორციელდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საპროექტო წინადადებების შერჩევა. მთავრობის იმავე დადგენილების თანახმად დასახლების საერთო კრებაზე შერჩეული პროექტები დასამტკიცებლად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რისთვისაც მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ნ. ვეკუა, ა. ქირია, მ. ჭოხონელიძე, ა. ხურცილავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N8 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი და დამატებითი ქონებების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი და დამატებითი ქონებების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორის მოთხოვნის საფუძველზე, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრს უსასყიდლოდ უზუფრუქტის წესით, არსებობის ვადით გადაეცემა ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქ. N185-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის მე-4 სართულზე არსებული 18,8 კვ.მ ფართი, რომელიც გათვალისწინებულია ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის პროექტებისა და აქტივობების განხილვებს, ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქ. N187-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 2330 კვ.მ ფართი საქმიანობის განსახორციელებლად და ჭალადიდის ყოფილი ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე არსებული ორი ოთახი 16,67 და 16,77, საერთო ფართი 33,44 კვმ ჭალადიდის სასოფლო ბიბლიოთეკის განსათავსებლად. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ნ. ვეკუა, ა. ქირია, მ. ჭოხონელიძე, ა. ხურცილავა)

8. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბიუროზეც იყო მსჯელობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არავითარი პრეტენზიები არ გააჩნიათ განათლებისა და განვითარების ცენტრ „თოლისკურის“ მიმართ, რომელიც ითხოვს თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე ფართს, მაგრამ კანონი არ იძლევა შესაძლებლობას დაინტერესებულ პირს გადაეცეს აღნიშნული ფართი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან დამატებით რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტში 2020 წლიდან ფუნქციონირებს განათლებისა და განვითარების ცენტრი „თოლისკური“, რომელიც მომსახურეობას უწევს 20 წლამდე შშმ პირებს. ამ ეტაპზე განათლებისა და განვითარების ცენტრი ითხოვს თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე 92,18 კვმ და მეორე სართულზე 86,18 კვ.მ ფართს, ჯამში 178,32 კვ.მ, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დამატებით ქონებას. (ს/კ 45.06.23.015) აღნიშნული ფართი

საჭიროებს რემონტს, მათი განმარტებით რემონტს ჩაატარებს დონორი ორგანიზაცია, ხოლო მათზე პროგრამულად ბიუჯეტში თანადაფინანსებით გამოყოფილი თანხა მიმართული იქნება სხვა აუცილებელი საჭიროებებისათვის, კერძოდ კომუნალური და სატრანსპორტო მომსახურეობისათვის. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი განხილულ იქნა კომისიის მიერ და მიზანშეუწონლად მიაჩნიათ წარმოდგენილი სახით საკითხის საკრებულოს მიერ მიღება, გამომდინარე იქიდან, რომ კანონი არ იძლევა შესაძლებლობას დაინტერესებულ პირს, რომლის დამფუძნებელი ან 50% წილის მფლობელი არ არის მუნიციპალიტეტი თხოვების ფორმით უვადოდ გადაეცეს მოთხოვნილი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, კანონი ამის შესაძლებლობას უშვებს, მხოლოდ ორი წლის ვადით. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიას მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკითხი დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას მისი კორექტირების მიზნით.

კენჭი ეყარა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის წინადადებას წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მერიისთვის დაბრუნების თაობაზე

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ნ. ვეკუა, ა. ქირია, მ. ჭოხონელიძე, ა. ხურცილავა)

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას კორექტირების მიზნით

9. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ც. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებში)

მოისმინეს: ც. ჯობავა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა

და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალურ პროგრამის სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალის ასევე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლის გასამაგრებლად, ცემენტის და ბლოკის შეძენის მუხლში გამოყოფილი თანხა მომართვიანობიდან გამომდინარე არასაკმარისი აღმოჩნდა და დამატებულ იქნა 20000 ლარი. ასევე პროგრამაში დამატებულ იქნა ახალი მუხლი სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა) ფინანსური დახმარება, რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელი ფართის დაქირავებას (არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში) 5000 ლარის ფარგლებში. ეკონომიების ხარჯზე მოხდა თანხის 10770 ლარის, გადატანა „მოსახლეობის სოციალური და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა“ „საქონელი და მომსახურეობის“ მუხლში და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ბიუჯეტში. აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამაში განხორციელდა ცვლილება, პროგრამის ბიუჯეტი 508100 ლარი შემცირდა 10770 ლარით და გადიდდა 25000 ლარით. შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა **522330 ლარი.**

ცვლილება განხორციელდა შემდეგ მუხლებში: პროგრამის ბიუჯეტი შემცირდა 10770 ლარით, შემდეგ მუხლებში:

1. უმწეოთა სასადილო მუხლი 6700 ლარით.
2. დიალიზზე მყოფ მოქლაქეთა დახმარების მუხლი 570 ლარით,

3. 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების კერძოდ: დღის ცენტრის თანხის დაფინანსების მუხლი 2500 ლარით,

4. უსახლკაროთა ბინის ქირის მუხლი 1000 ლარით.

პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 25000 ლარით შემდეგ მუხლებში:

1. სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალის ასევე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლის გასამაგრებლად, ცემენტის და ბლოკის შეძენის მუხლი გაიზარდა 20000 ლარით.

2. სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა) ფინანსური დახმარება, რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელი ფართის დაქირავებას (არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში) მუხლი 5000 ლარით.

10770 ლარი გადატანილ იქნა:

1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ბიუჯეტში 4070 ლარი.

2. „მოსახლეობის სოციალური და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა“ „საქონელი და მომსახურეობის„ მუხლში 6700 ლარი.

გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ნ. ვეკუა, ა. ქირია, მ. ჭოხონელიძე, ა. ხურცილავა, გ. ნასარაია, ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N10 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა